ხელშეკრულება №03/10

აუდიტორულ მომსახურებაზე

ქ. რუსთავი 04 ოქტომბერი 2011 წ.

შპს „ჯენერალ-აუდიტი“, მისი დირექტორის ზაზა ლომიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), ერთის მხრივ და სსიპ რუსთავის №28 სკოლა, მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მადონა კვიკვინიას სახით (შემდგომში „დამკვეთი“), მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ რუსთავის №28 სკოლის კუთვნილი გასაქირავებელი ფართის ყოველთვიური ქირის გადასახადის საბაზრო ღირებულების დადგენა და სათანადო დასკვნის გაცემა.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო 3 კალენდარული დღის ვადაში.

2.2 მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შესასრულებელ სამუშაოს მოცულობისა და სირთულის მიხედვით და შეადგენს 200,00 (ორასი) ლარს დღგ-ის ჩათვლით.

2.3. „დამკვეთი“ ვალდებულია გადაუხადოს „შემსრულებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება აუდიტორის დასკვნის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.4. სამუშაო ჩაბარებულად ითვლება, როდესაც მხარეს შორის შედგება მიღება-ჩაბარების აქტი, ან „დამკვეთი“ თავისი ხელმოწერით მიღებულ აუდიტორის დასკვნაზე დაადასტურებს პრეტენზიის უქონლობას შესრულებული სამუშაოს შესახებ.

2.5. „დამკვეთი“ 2.3. პუნქტში აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს“ უხდის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,07 პროცენტს.

3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები

3.1 ხელშეკრულება წყდება ან ხდება მისი დროებით შეჩერება ფორს-მაჟორული მდგომარეობის დროს (საზოგადოებრივი უწესრიგობა, სახელშეკრულებო ორგანოების აქტები და სხვა ექსტრემალური პირობები).

3.2 მხარეებს უფლება აქვთ დაუყოვნებლივ შეაჩერონ ხელშეკრულების მოქმედება და მოითხოვონ ზარალის ანაზღაურება წერილობითი შეტყობინების გზით. მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ამ მომენტიდან 10 დღის ვადაში.

3.3 თუ „შემსრულებელს“ „დამკვეთის“ მიერ შეეზღუდა შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ობიექტური დასკვნის გამოტანას, „შემსრულებელი“ ცალსახად წყვეტს ხელშეკრულებას და ითხოვს ზარალის ანაზღაურებას.

3.4 თუ „დამკვეთი“ ცალმხრივად გაწყვეტს ხელშეკრულებას 3..2. პუნქტის პირობების გაუთვალისწინებლად იგი ვალდებულია მთლიანად აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი თანხა.

3.5 „შემსრულებელი“ და „დამკვეთი“ პასუხს აგებენ ერთმანეთისადმი მიყენებული ზარალის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. დამატებითი პირობები

4.1. „შემსრულებელი“ პასუხს აგებს მის მიერ გაცემულ დასკვნაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. „დამკვეთი“ პასუხს აგებს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე.

4.3. „შემსრულებელს“ უფლება აქვს მოიწვიოს სხვა აუდიტორი ან ექსპერტი, ასევე „დამკვეთის“ შიდა აუდიტორი ან თანამშრომელი ამ ხელშეკრულებით გათვალისწნებული სამუშაოების ჩასატარებლად.

4.4. თუ მხარეებს შორის წარმოქმნილ საეჭვო საკითხებზე ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება, შესაძლებელია დაიდოს დამატებითი ხელშეკრულება, ან მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

4.5. ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად და გადაეცემათ მხარეებს.

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „ჯენერალ-აუდიტი“	სსიპ რუსთავის №28 სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 216400160	საიდენტიფიკაციო კოდი: 216295453
ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. №32	ქ. რუსთავი, XIX მკრ
ს.ს. „თიბისი“ ბანკის	ს.ს. ლიბერთი ბანკის
რუსთავის ფილიალი	რუსთავის ფილიალი
ა/ა GE12 TB02 0000 0002467652,	ა/ა GE17LB0121[illegible]
კოდი TBCBGE22	კოდი
დირექტორი:	დირექტორის მ.შ: